საქართველო
ქ. თბილისი
შ.პ.ს. «კონექსი»
204907501, მინდელის ქ. №3 ტ. 53-76-98

GEORGIA
TBILISI
«KONEXI» LTD
204907501, MINDELI str. №3 p. 53-76-98

E-mail konex_ge@mail.ru

18.05.2014 № დ–14

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, სამხრეთ ფარეხის ქ. №84-ში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის გავლენის შესახებ მომიჯნავედ არსებული სახლების ტექნიკურ მდგომარეობაზე

შპს საპროექტო ტექნოლოგიური ინსტიტუტი „კვების ტექნოლოგი“-ს დირექტორის შალვა ნადირაშვილის თხოვნის საფუძველზე შპს „კონექსმა“ განმეორებით შეისწავლა ქ. თბილისის სამხრეთ ფარეხის ქ. №84-ში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის გავლენა მომიჯნავედ არსებული სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით (პროექტი დამუშავებულია შპს საპროექტო ტექნოლოგიური ინსტიტუტი „კვების ტექნოლოგი“-ს მიერ, არქიტექტორები ზურაბ მათიაშვილი კონსტრუქტორი გენრიხ ბერიძე). აღნიშნული პროექტი ძირეულად განსხვავდება აღრე დამუშავებული პროექტისაგან, რომელზედაც ჩვენს მიერ გაცემული იქნა დასკვნა მისი გავლენის შესახებ მომიჯნავედ არსებული სახლების ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ახალი პროექტით ასაშენებელი საცხოვრებელი სახლი ათსართულიანია. ტერიტორიის გენგეგმის მიხედვით იგი დაშორებულია მომიჯნავედ არსებულ ცხრა სართულიანი საცხოვრებელი სახლიდან 2.5 მეტრით.

გამომდინარე მშენებლობის ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შედეგებიდან, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ავტორის გადაწყვეტით შენობა ეფუძნება ნაწილობრივ ჩასასობ ხიმინჯებს, ნაწილობრივ კი ნაბურღ დასატენს. დაფუძნების ასეთი კონსტრუქციული გადაწყვეტა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ახალი შენობის განთავსების ადგილზე უკვე დამონტაჟებული იყო 30x30 სმ განიკვეთის მქონე ჩასასობი ხიმინჯები, და რომ დღეისათვის საქართველოში აღარ არსებობს ჩასასობი ხიმინჯების განსახორციელებელი აგრეგატები. ნაბურღ დასატენი ხიმინჯების კონსტრუირება განხორციელდა ჩასასობ ხიმინჯებთან ტოლწინაღობის პრინციპით.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ფარეხის ქ. №84-ში ასაშენებელი სახლი, მისი დასრულების შემდეგ გავლენას ვერ მოახდენს მეზობლად განლაგებული ცხრა სართულიანი შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ერთიცა და მეორეც ეფუძნება პრაქტიკულად უკუმშვად ქანებს. საზოგადოდ, მეზობელ სახლებზე გავლენა შეიძლება მოახდინოს მშენებლობის პროცესმაც, კერძოდ ქვაბულის დამუშავებამ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზმა აჩვენა, რომ მის ავტორებმა გაითვალისწინეს ეს მოვლენაც. მათ ეფექტურად გამოიყენეს არსებული ჩასასობი ხიმინჯების ერთი რიგი მომიჯნავედ არსებულ ცხრა სართულიანი საცხოვრებელი სახლთან ქვაბულის ფერდის გასამაგრებლად.

ზემოთმოყვანილი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამხრეთ ფარეხის ქ. №84-ში ასაშენებელი სახლის გავლენა მომოჯნავედ არსებული სახლების ტექნიკურ მდგომარეოაზე პრაქტიკულად ნულის ტოლ იქნება.

შპს „კონექსი“-ს მთ. ინჟინერი,
ექსპერტი ქ. ოდიშვილი

ქვაბულის გეგმა



შენიშვნა:

1) ქვაბულის მოხსნამდე საჭიროა მეზობელი შენობის ფუნდამენტებთან ხელით, შურფის გაყვანით დადგინდეს ფუნდამენტის ტიპი, ჩაღმავება და მდომარეობა. და ეცნობოს პროექტის ავტორს.

2) ქვაბულის მოწყობის შემდეგ ხდება ხიმინჯების დაბურღვა.

3) ქვაბულის მოხნისას საჭიროა კედლების და მომიჯნავე შენობების კონტროლი.

4) ქვაბული დაზუსტდეს ადგილზე გეოლოგიური და ტოპოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

5) გრუნტის მოჭრა და სხვა სამოუშაოები განხორციელდეს СНиП III-4-80* მოთხოვნების გათვალისწინებით.

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, სამხრეთ ფარეხის ქუჩა 84-ში მშნებარე 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქცია წარმოადგენს აკრკასილ ნაგებობას მონოლითური დიაფრაგმებით. შენობა დაფუძნებულია კლდოვან ქანებზე ნაბრუღ-ნატენი ხიმინჯებით. მეზობლად არსებული შენობიდან უახლოესი ხიმინჯი დაცილებულია 3.2 მ-ით. რათა არ მოხდეს მშენებლობის პროცესში მეზობელ შენობაზე (9 სართულიანი, ბლოკური საცხობვრებელი სახლი) ზეგავლენა. საპროექტრო შენობის ექსპლუატაციის დროს, შენობიდან დატვირთვების გადაცემა ხდება კლდოვან, უკუმშვად გრუნტზე, რაც გამორიცხავს მზობელ შენობებზე ჯდენით ან სხვა სახის ზეგავლენას. ასევე შენობები ერთმანეთისგან გამოყოფილია 80 სმ სისქის ნაკერით, რათა არ მოხდეს სეისმური ზემოქმედების გადაცემა. საპოექტო შენობის ქვაბული ითხრება, არსებული, დაუსრულებელი შენობის სარდაფის ფარგლებში, რომელიც არ სცდება მეზობელი შენობის საძირკვლის დონეს, რაც გამორიცხავს ქვაბულის ამოღებით რაიმე ზეგავლენას მეზობელ 9 სართულიან სახლზე. ხიმინჯების ბურღვისას ხდება პროექტით გათვალისწინებული ვიბრაციების კონტროლი, რათა არ მოხდეს, ბურღვისას მეზობელი შენობების დაზიანება.